



EEU

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის
ქცევის (ეთიკის) კოდექსი

*დამტკიცებულია: უნივერსიტეტის რექტორის 2015 წლის
20 იანვრის №01-08/09 ბრძანებით*

*განახლებულია: უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს 2020 წლის 30 ნოემბრის №07 დადგენილებით.*

შინაარსი

თავი I. ზოგადი დებულებები 2

 მუხლი 1. რეგულირების სფერო 2

 მუხლი 2. კოდექსის მიზნები 2

 მუხლი 3. კოდექსის მოქმედების ზოგადი პრინციპები 3

 მუხლი 4. ქცევის (ეთიკის) საერთო წესები 3

თავი II. უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების ქცევის ზოგადი სტანდარტები 4

 მუხლი 5. სწავლების განმახორციელებელი პირების ქცევის ზოგადი სტანდარტები 4

 მუხლი 6. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ქცევის ზოგადი სტანდარტები 7

 მუხლი 7. სტუდენტის ქცევის ზოგადი სტანდარტები 8

თავი III. დისციპლინური პასუხისმგებლობა 11

 მუხლი 8. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები 11

თავი IV. დისციპლინური წარმოება 11

 მუხლი 9. დისციპლინური წარმოების პრინციპები 11

 მუხლი 10. ეთიკის კომისია 12

 მუხლი 11. დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი 12

 მუხლი 12. დისციპლინური წარმოების პროცედურა 13

 მუხლი 13. მხარეთა უფლება-მოვალეობები 14

 მუხლი 14. დისციპლინურ წარმოებაზე ეთიკის კომისიის წევრის აცილების საფუძველი 15

 მუხლი 15. დისციპლინური წარმოების დაწყებაზე უარისა და წარმოების შეწყვეტის საფუძველები 16

 მუხლი 16. დისციპლინურ წარმოებაზე ეთიკის კომისიას გადაწყვეტილება 16

 მუხლი 17. დისციპლინურ წარმოებაზე ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება 17

 მუხლი 18. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება 17

თავი V. დასკვნითი დებულებები 18

 მუხლი 19. კოდექსის დამტკიცება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, მალადაკარგულად გამოცხადება 18

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ქცევის (ეთიკის) კოდექსი (შემდგომში - კოდექსი) „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისად განსაზღვრავს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) ქცევისა და ურთიერთობის წესებს, ზნეობრივ პრინციპებსა და სტანდარტებს, ასევე ადგენს დისციპლინური წარმოების წესსა და პასუხისმგებლობას დისციპლინური გადაცდომისათვის.
2. კოდექსის მოქმედება ვრცელდება უნივერსიტეტის აკადემიურ, სამეცნიერო-კვლევით, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალზე, მოწვეულ სპეციალისტებზე, სტუდენტებსა და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით და ადმინისტრაციულ პროცესებში ჩართულ სხვა პირებზე.
3. ამ კოდექსის მიზნებისთვის სტუდენტი არის პირი, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხა და სწავლობს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მასწავლებლის მომზადების, დიპლომირებული მედიკოსის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად.

მუხლი 2. კოდექსის მიზნები

კოდექსის მიზნებია:

- ა) უნივერსიტეტის დასაქმებული პირებისა და სტუდენტებისთვის სავალდებულო ეთიკური ქცევის ერთიანი წესების ჩამოყალიბება;
- ბ) უნივერსიტეტში თანასწორობაზე, ურთიერთპატივისცემაზე, კეთილსინდისიერებასა და სამართლიანობაზე დაფუძნებული თანამშრომლური გარემოს შექნა და დემოკრატიული პრინციპებისა და ღირებულებების დამკვიდრება;
- გ) საუნივერსიტეტო სივრცეში გამოხატვის თავისუფლებისა და აკადემიური თავისუფლების ხელშეწყობა.

მუხლი 3. კოდექსის მოქმედების ზოგადი პრინციპები

უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, მოწვეული სპეციალისტები, სტუდენტები და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით და ადმინისტრაციულ პროცესებში ჩართული სხვა პირები:

- ა) თანაბრად სარგებლობენ საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის დებულებითა და სხვა შიდა მარეგულირებელი აქტებით მათთვის მინიჭებული უფლებებით;
- ბ) იზიარებენ წინამდებარე კოდექსით დადგენილ საერთო წესებს, პრინციპებსა და ღირებულებებს და იცავენ მათ;
- გ) აღიარებენ და იზიარებენ უნივერსიტეტის დეკლარირებულ ღირებულებებს: პატივისცემას, თანაგრძნობას, მხარდაჭერას, აზროვნებისა და გამოხატვის თავისუფლებას, თანამშრომლობასა და კეთილგანწყობას;
- დ) აღიარებენ უნივერსიტეტის უფლებას, წინამდებარე კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, განხილულ იქნას მათი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი ამ კოდექსისა და უნივერსიტეტის სხვა შიდა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად. ამასთანავე, აცნობიერებენ განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების ვალდებულებას.

მუხლი 4. ქცევის (ეთიკის) საერთო წესები

უნივერსიტეტში დასაქმებული პირებისა და სტუდენტებისთვის შეუფერებელ და არათიკურ ქცევად მიჩნეულია:

- ა) დისკრიმინაცია - სხვა პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ ისეთი სახის შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას ან პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით;
- ბ) აკადემიური სიყალბე;

- გ) სასწავლო პროცესის ხელის შეშლა; ლექციის, სემინარის, კონფერენციის, სხვა ღონისძიების მიმდინარეობისას მობილური ტელეფონით სარგებლობა, პირადი საუბრების გამართვა და სხვა შეუფერებელი ქმედება;
- დ) ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიმართულია უნივერსიტეტის დისკრედიტაციისკენ;
- ე) სხვისი საკუთრების ხელყოფა, დაზიანება, განადგურება ან საკუთრების უფლების რაიმე სახით შეზღუდვა მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ;
- ვ) უნივერსიტეტის კუთვნილი ქონების პირადი საჭიროებისთვის გამოყენება, დაზიანება, განადგურება; ვანდალიზმი; შენობისა და ტერიტორიის დანაგვიანება;
- ზ) ნებადართული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მოწევა (თამბაქო, ელექტროსიგარეტი, სხვა);
- თ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ალკოჰოლური საშუალების ფლობა, გავრცელება, მოხმარება თუ ღონისძიება სპეციალურად არ არის ორგანიზებული ან ნებადართული უნივერსიტეტის მიერ;
- ი) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული საშუალების ფლობა, გავრცელება, მოხმარება;
- კ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე აზარტული თამაშების გამართვა, მათში მონაწილეობა;
- ლ) ბილწსიტყვაობა, გამომწვევი ქცევა, სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება;
- მ) ფსიქოლოგიური ზეწოლა, მუქარა, დაშინება, სხვა სახის არაეთიკური ზემოქმედება;
- ნ) ძალადობა, ფიზიკური შეურაცხყოფა;
- ო) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღის, ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერების ფლობა, გავრცელება, გამოყენება;
- პ) ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება ეთიკის ნორმებს.

თავი II. უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების ქცევის ზოგადი სტანდარტები

მუხლი 5. სწავლების განმახორციელებელი პირების ქცევის ზოგადი სტანდარტები

1. უნივერსიტეტში დასაქმებული აკადემიური პერსონალი, მოწვეული სპეციალისტები (შემდგომში – სწავლების განმახორციელებელი პირები) უნივერსიტეტის ძირითადი საქმიანობის წარმმართველი ძალაა. უნივერსიტეტში მათი საქმიანობის მთავარი მიზანია

უნივერსიტეტის სტუდენტების მაღალკვალიფიციურ, კონკურენტუნარიან სპეციალისტებად აღზრდა და ჩამოყალიბება.

2. სწავლების განმახორციელებელმა პირმა უნდა დაიცვას უნივერსიტეტის პრესტიჟი და რეპუტაცია, პატივი სცეს საკუთარ კოლეგებსა და უნივერსიტეტში დასაქმებულ სხვა პირებსა და სტუდენტებს, მოეპყროს მათ სამართლიანად და პატივისცემით;
3. სწავლების განმახორციელებელმა პირმა თავი უნდა შეიკავოს უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ ისეთ საქმიანობაში ჩართვისა თუ ვალდებულების აღებისგან, რაც ხელს შეუშლის მისი საუნივერსიტეტო მოვალეობების ჯეროვნად და სრულფასოვნად შესრულებას.
4. სწავლების განმახორციელებელმა პირმა თავი უნდა შეიკავოს ნებისმიერი ისეთი ქმედების ჩადენისგან, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს უნივერსიტეტის დისკრედიტაცია.
5. სწავლების განმახორციელებელი პირი სტუდენტებთან ურთიერთობისას უნდა ხელმძღვანელობდეს მაღალზნეობრივი სტანდარტებით, რაც განაპირობებს მათ არამარტო მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალებად, არამედ პატრიოტ, პატიოსან და კანონმორჩილ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას.
6. სწავლების განმახორციელებელი პირი ვალდებულია:
 - ა) სწავლების პროცესი წარმართოს უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმის მიხედვით;
 - ბ) დარგის ან მეცნიერების შესაბამის სფეროში მიმდინარე ცვლილებების კვალდაკვალ, პერიოდულად განაახლოს სალექციო კურსის თემატიკა და სტრუქტურა, სრულყოს მისი წარმართვის მეთოდიკა;
 - გ) სწავლებისთვის განკუთვნილი დრო გამოიყენოს ეფექტიანად, მხოლოდ სწავლის მიზნებისა და შედეგების მისაღწევად;
 - დ) არასაპატიო მიზეზით არ დააგვიანოს, არ გააცდინოს, განსაზღვრულ დროზე ადრე არ დაასრულოს ლექცია, სემინარი, პრეზენტაცია თუ სხვა სასწავლო აქტივობა, ხოლო საპატიო მიზეზის არსებობისას წინასწარ გააფრთხილოს შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის წარმომადგენელი ამისთვის დადგენილი წესით;
 - ე) თანაბარი ყურადღება და მზრუნველობა გამოიჩინოს ყველა სტუდენტის მიმართ განურჩევლად მათი სქესის და ასაკის, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, ენობრივი, რელიგიური, სოციალური, კულტურული, პოლიტიკური კუთვნილებისა თუ სხვა ნიშნისა;
 - ვ) შექმნას ყველა საჭირო პირობა პატიოსანი და გამჭვირვალე აკადემიური გარემოს ფორმირებისთვის;

- ზ) ხელი შეუწყოს მოსაზრებათა და შეხედულებათა გაცვლას, აზროვნებისა და გამოხატვის თავისუფლებას;
- თ) გაუწიოს სტუდენტებს ინტელექტუალური და აკადემიური ხელმძღვანელობა და უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად გამოყოს საკონსულტაციო საათები;
- ი) სტუდენტებს მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ; სტუდენტთა შეფასებისას გამორიცხოს ფავორიტიზმის, პროტექციონიზმისა და სხვა დისკრიმინაციული ფაქტორების გამოყენება; არ ჩაუტაროს საკუთარ სტუდენტს კერძო გაკვეთილი ანაზღაურების სანაცვლოდ;
- კ) არ გამოიყენოს სტუდენტთა შესაძლებლობები პირადი გამორჩენის მიზნით ან კოლეგებთან უთანხმოების ინსტრუმენტად;
- ლ) არ მიიღოს სტუდენტისგან საჩუქარი ან სხვა სახის სარგებელი მისთვის დადებითი შეფასების, უპირატესობის მინიჭების სანაცვლოდ ან/და ანგარების მიზნით;
- მ) პატივი სცეს კოლეგის აკადემიურ დამოუკიდებლობას; დახმარება გაუწიოს მას პროფესიული განვითარების საქმეში; სამართლიანად და ობიექტურად შეაფასოს კოლეგის საქმიანობა და ნაშრომები;
- ნ) არ გააკეთოს უხეში და მიუღებელი კომენტარები კოლეგის სწავლების მეთოდებზე ან/და სხვა პროფესიულ საქმიანობაზე; საჭიროების შემთხვევაში კოლეგის მიმართ კრიტიკა გამოთქვას კონსტრუქციულად და არ გასცდეს პროფესიულ ჩარჩოებს;
- ო) არ მიაყენოს სიტყვიერი, ფიზიკური თუ სხვა სახის შეურაცხყოფა სტუდენტს/უნივერსიტეტის პერსონალს ან/და უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირს; თავი შეიკავოს სხვა სტუდენტების/ უნივერსიტეტის პერსონალის/ სხვა პირების თანდასწრებით სტუდენტის/უნივერსიტეტის პერსონალის/სხვა პირის გაკიცხვისგან;
- პ) არ გაამჟღავნოს პერსონალური ინფორმაცია სტუდენტის/უნივერსიტეტის პერსონალის შესახებ და დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალურობა გარდა ლეგიტიმური საჭიროებისა;
- ჟ) იქონიოს კოლეგებთან, უნივერსიტეტის პერსონალთან ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული კოლეგიალური ურთიერთობა.
- რ) არ გამოიყენოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რესურსი პირადი საჭიროებისთვის; არ მოსთხოვოს მათ კანონით გაუთვალისწინებელი შეღავათებისა და დათმობების გაწევა, რაც აღნიშნულ პირებს ეთიკური დილემის წინაშე დააყენებს;

- ს) ეფექტიანად და მიზნობრივად გამოიყენოს უნივერსიტეტის შენობა, ტექნიკა, აღჭურვილობა და სხვა რესურსები;
- ტ) სამსახურის დატოვების შემთხვევაში, გონივრულ ვადაში წინასწარ აცნობოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას აღნიშნულის შესახებ, რათა საფრხე არ შეექმნას სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას.
7. სწავლების განმახორციელებელმა პირმა თავი არ უნდა აარიდოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის წარმომადგენლებთან თანამშრომლობას და უკუკავშირს ისეთ საკითხებზე, რომელთა გაჭიანურება და/ან გადაუჭრელობა ხელს შეუშლის საუნივერსიტეტო საქმიანობის შეუფერხებელ მიმდინარეობას, ან/და გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ ადმინისტრაციული წესით უნივერსიტეტის დაჯარიმებას.

მუხლი 6. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ქცევის ზოგადი სტანდარტები

1. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი მოვალეა, უნივერსიტეტში შექმნას სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებისთვის, პროფესიული განვითარებისა და ჯანსაღი სტუდენტური ცხოვრებისთვის შესაბამისი გარემო.
2. ადმინისტრაციულმა და დამხმარე პერსონალმა უნდა დაიცვას უნივერსიტეტის პრესტიჟი და რეპუტაცია, პატივი სცეს საკუთარ კოლეგებსა და უნივერსიტეტში დასაქმებულ სხვა პირებსა და სტუდენტებს, მოეპყროს მათ სამართლიანად და პატივისცემით;
3. ადმინისტრაციულმა და დამხმარე პერსონალმა თავი უნდა შეიკავოს უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ ისეთ საქმიანობაში ჩართვისა თუ ვალდებულების აღებისგან, რაც ხელს შეუშლის მისი მოვალეობების ჯეროვნად და სრულფასოვნად შესრულებას.
4. ადმინისტრაციულმა და დამხმარე პერსონალმა თავი უნდა შეიკავოს ნებისმიერი ისეთი ქმედების ჩადენისგან, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს უნივერსიტეტის დისკრედიტაცია.
5. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი ვალდებულია:
 - ა) საკუთარი საქმიანობას საფუძვლად დაუდოს მაღალზნეობრივი სტანდარტები, კეთილსინდისიერება და პატიოსნება; ხელი შეუწყოს საზოგადოებაში უნივერსიტეტის სახელისა და ავტორიტეტის განმტკიცებას.
 - ბ) იქონიოს კოლეგებთან, უნივერსიტეტში სწავლების განმახორციელებელ პირებთან ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული კოლეგიალური ურთიერთობა.

- გ) საქმიანობის განხორციელებისას გამორიცხოს კოლეგებისა და სტუდენტების მიმართ დისკრიმინაცია სქესის და ასაკის, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, ენობრივი, რელიგიური, სოციალური, კულტურული, პოლიტიკური კუთვნილებისა თუ სხვა ნიშნის მიხედვით;
- დ) არ დაუშვას და აღკვეთოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევა, არ მიიღოს მონაწილეობა უნივერსიტეტთან დაკავშირებულ ისეთ კომერციულ საქმიანობაში, საიდანაც მას ან მისი ოჯახის წევრს პირადი სარგებელი გააჩნია;
- ე) არ მიიღოს საჩუქარი ან ნებისმიერი სხვა ტიპის სარგებელი ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან, რომელთანაც აქვს სამსახურებრივი ურთიერთობა, ანგარების მიზნით ან მისთვის უპირატესობის მინიჭების სანაცვლოდ;
- ვ) არ აწარმოოს სამეწარმეო ხასიათის საქმიანობა პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით უნივერსიტეტის ტერიტორიაზე;
- ზ) არ მიაყენოს სიტყვიერი, ფიზიკური თუ სხვა სახის შეურაცხყოფა სტუდენტს/უნივერსიტეტის პერსონალს ან/და უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირს; თავი შეიკავოს სხვა სტუდენტების/ უნივერსიტეტის პერსონალის/ სხვა პირების თანდასწრებით სტუდენტის/უნივერსიტეტის პერსონალის/სხვა პირის გაკიცხვისგან;
- თ) არ გამოიყენოს უნივერსიტეტის პერსონალის რესურსი პირადი საჭიროებისთვის; არ მოსთხოვოს მათ კანონით გაუთვალისწინებელი შეღავათებისა და დათმობების გაწევა, რაც აღნიშნულ პირებს ეთიკური დილემის წინაშე დააყენებს;
- ი) უნივერსიტეტის საჭიროებისთვის ეფექტიანად გამოიყენოს უნივერსიტეტის ქონება, სამუშაო დრო, ინტელექტუალური შესაძლებლობები და სხვა რესურსები;
- კ) არ გაამჟღავნოს პროფესიული საქმიანობის დროს მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა ლეგიტიმური საჭიროებისა.

მუხლი 7. სტუდენტის ქცევის ზოგადი სტანდარტები

1. სტუდენტმა პატივი უნდა სცეს უნივერსიტეტს, ჩაერთოს სასწავლო პროცესში, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, კომპეტენციისა და სწავლების საფეხურის გათვალისწინებით, და მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ განხორციელებულ გამოკითხვებში/კვლევებში; ზედმიწევნით დაიცვას საგანმანათლებლო

მომსახურების შესახებ უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულებისა და სხვა შეთანხმებების პირობები.

2. სტუდენტმა პატივი უნდა სცეს უნივერსიტეტის პერსონალს; დაიცვას ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები; დაემორჩილოს უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელ წესებს;
3. გაუფრთხილდეს და დაიცვას უნივერსიტეტის პრესტიჟი და რეპუტაცია, პატივი სცეს სხვა სტუდენტებსა და უნივერსიტეტში დასაქმებულ პირებს; მოეპყროს მათ კეთილსინდისიერად და სამართლიანად; გამოიჩინოს კეთილგანწყობა, თანაგრძნობა და კოოპერაცია;
4. თავი უნდა შეიკავოს ნებისმიერი ისეთი ქმედების ჩადენისგან, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს უნივერსიტეტის დისკრედიტაცია.
5. სტუდენტი ვალდებულია:
 - ა) სწავლების ან/და კვლევის პროცესში იყოს სათანადოდ მომზადებული და მაქსიმალურად ორგანიზებული; დაესწროს ლექციებს/სემინარებს; არ დააგვიანოს მათზე;
 - ბ) დროულად გამოცხადდეს გამოცდებზე, დაიცვას გამოცდისთვის უნივერსიტეტში დადგენილი წესები; არასაპატიო მიზეზით არ გააცდინოს გამოცდები;
 - გ) ხელი არ შეუშალოს სასწავლო ან/და კვლევითი პროცესის მიმდინარეობას უნივერსიტეტში;
 - დ) საკუთარი აზრი დააფიქსიროს კორექტულად და დაიცვას გამოხატვის თავისუფლების ფარგლები. ამასთანავე, მოუსმინოს სხვა სტუდენტების/უნივერსიტეტის პერსონალის/უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მყოფი სხვა პირების აზრს და პატივი სცეს სხვების აზროვნებისა და გამოხატვის თავისუფლებას;
 - ე) არ მიაყენოს სიტყვიერი, ფიზიკური თუ სხვა სახის შეურაცხყოფა სხვა სტუდენტს/უნივერსიტეტის პერსონალს ან/და უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირს; თავი შეიკავოს სხვა სტუდენტების/ უნივერსიტეტის პერსონალის/ სხვა პირების თანდასწრებით სტუდენტის/უნივერსიტეტის პერსონალის/სხვა პირის გაკიცხვისგან;
 - ვ) პირადი სარგებელის სანაცვლოდ, ანგარების მიზნით არ შესთავაზოს საჩუქარი ან თანხა ან სხვა სახის სარგებელი უნივერსიტეტის სხვა სტუდენტსა და პერსონალს (აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე).

- ზ) არ გაამჟღავნოს მისთვის ცნობილი პერსონალური ინფორმაცია უნივერსიტეტის სტუდენტის/უნივერსიტეტის პერსონალის შესახებ და დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალურობა გარდა ლეგიტიმური საჭიროებისა;
 - თ) უნივერსიტეტის მართვის ორგანოების თანხმობის გარეშე თავი შეიკავოს პირადი ან ჯგუფური მიზნებისთვის უნივერსიტეტის დასახელების, ლოგოს ან სხვა ატრიბუტიკის გამოყენებისგან უნივერსიტეტის ინტერესების საზიანოდ;
 - ი) არ გააყალბოს საუნივერსიტეტო მონაცემები;
 - კ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის კუთვნილ ქონებას. ეფექტიანად და მიზნობრივად გამოიყენოს უნივერსიტეტის შენობა, ტექნიკა, აღჭურვილობა და სხვა რესურსები;
 - ლ) არ გამოიყენოს უნივერსიტეტის ინტერნეტის რესურსები არადანიშნულებით;
6. სტუდენტის არაეთიკურ ქცევად მიიჩნევა აკადემიური სიყალბე, კერძოდ:
- ა) გადაწერა სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან, ან სხვა სახის დამხმარე მასალის გამოყენება, რომელიც ლექტორის მიერ წინასწარ არ არის ნებადართული და აკრძალულია უნივერსიტეტის მიერ;
 - ბ) სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება, ან თხოვნა სხვა პირისათვის, რომ მის მაგივრად ჩააბაროს გამოცდა;
 - გ) გამოცდის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება ან/და მისი გავრცელება;
 - დ) სხვა პირის ნამუშევრის როგორც საკუთარის წარმოჩენა;
 - ე) პირადი მონაცემებისა და მიღებული შეფასებების გაყალბება;
 - ვ) სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება, შეცვლა;
 - ზ) ხელის შეშლა სხვა სტუდენტებისათვის სწავლასა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით;
 - თ) სხვა სტუდენტისათვის ხელის შეწყობა აკადემიურ სიყალბეში;
 - ი) კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება;
 - კ) შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური, ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებით;
 - ლ) ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად წარმოჩენა.
7. აკადემიური სიყალბის დაფიქსირების შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს.

თავი III. დისციპლინური პასუხისმგებლობა

მუხლი 8. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები

1. წინამდებარე კოდექსი სავალდებულოა მისი ადრესატებისთვის და კოდექსით გათვალისწინებული ნორმის დარღვევა წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას, რაც იწვევს პირისთვის შესაბამისი დისციპლინური სახდელის დაკისრებას.
2. უნივერსიტეტში სწავლების განმახორციელებელი პირები, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ წინამდებარე კოდექსით დადგენილი წესების დარღვევისთვის გამოიყენება უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.
3. სტუდენტის მიერ წინამდებარე კოდექსით დადგენილი წესების დარღვევისთვის გათვალისწინებულია დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები:
 - ა) შენიშვნა;
 - ბ) გაფრთხილება;
 - გ) მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება;
 - დ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.
4. დისციპლინური სახდელის დადებისას გაითვალისწინება ჩადენილი გადაცდომის სიმძიმე, მისი ჩადენის გარემოებები, პირის ყოფაქცევა წარსულში. პირის პასუხისმგებლობა იზრდება ნორმის განმეორებით დარღვევის შემთხვევაში.
5. წინამდებარე კოდექსით დადგენილი წესების დარღვევისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ერთი დისციპლინური სახდელი.

თავი IV. დისციპლინური წარმოება

მუხლი 9. დისციპლინური წარმოების პრინციპები

1. უნივერსიტეტში დისციპლინური წარმოება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: კანონიერება, ობიექტურობა, გამჭვირვალობა, კოლეგიურობა.
2. კანონიერების პრინციპი - დისციპლინური წარმოება ხორციელდება წინამდებარე კოდექსის, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

3. ობიექტურობის პრინციპი - დისციპლინურ წარმოების მხარეები არიან თანაბარ პირობებში, შეუძლიათ წარადგინონ/დაასაბუთონ საკუთარი პოზიცია და მტკიცებულებები; გამორიცხულია ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაცია და სუბიექტივიზმი;
4. გამჭვირვალობის პრინციპი - დისციპლინური წარმოების საფუძვლები და პროცედურა ნათლად არის ჩამოყალიბებული და ხელმისაწვდომია მისი ადრესატებისთვის. ასევე წარმოების ეტაპების შესახებ სრულ ინფორმაციას და საქმეში არსებულ მტკიცებულებებს იცნობენ მხარეები;
5. კოლეგიურობა - დისციპლინურ წარმოებას ახორციელებს უფლებამოსილი კოლეგიური ორგანო და გადაწყვეტილების მიღება ხდება კოლეგიურად.

მუხლი 10. ეთიკის კომისია

1. უნივერსიტეტში წინამდებარე კოდექსის ნორმების დარღვის ფაქტზე დისციპლინურ წარმოებას ახორციელებს უნივერსიტეტის ეთიკის კომისია (შემდგომში „ეთიკის კომისია“)
2. ეთიკის კომისიის შემადგელობას ამტკიცებს რექტორი ბრძანებით. კომისიის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი.
3. კომისიის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება არანაკლებ 5 და არაუმეტეს 10 წევრისგან. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს უნივერსიტეტის/ფაკულტეტის მმართველი სუბიექტი ან/და მმართველი ორგანოს წევრი. ასევე, პირი, რომლის მიმართაც ბოლო 3 წლის განმავლობაში გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.
4. ეთიკის კომისიის შემადგენლობის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 2 წლის ვადით.
5. ეთიკის კომისიის საქმიანობა და მუშაობის წესი განისაზღვრება კომისიის რეგლამენტით.

მუხლი 11. დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი

1. წინამდებარე კოდექსის ნორმების დარღვის ფაქტზე დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი შეიძლება იყოს:
 - ა) დაინტერესებული პირის ან ორგანოს წერილობითი საჩივარი/განცხადება;
 - ბ) სტუდენტური ომბუდსმენის მიმართვა;
 - გ) დისციპლინური გადაცდომის ფაქტის აღმოჩენა ან გარემოება, რომელიც იწვევს საფუძვლიან ეჭვს, რომ ადგილი აქვს წინამდებარე კოდექსის ნორმების დარღვევას.

2. დისციპლინური წარმოების დაწყების მიზნით საჩივარი/განცხადება/მიმართვა წარდგენილ უნდა იქნას უნივერსიტეტის კანცელარიაში.
3. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ეთიკის კომისია ვალდებულია თავად დაიწყოს დისციპლინური წარმოება.
4. დისციპლინური წარმოება არ შეიძლება დაიწყოს, თუკი წინამდებარე კოდექსის ნორმების დარღვის სავარაუდო ფაქტიდან გასულია 60 (სამოცი) კალენდარულ დღეზე მეტი.

მუხლი 12. დისციპლინური წარმოების პროცედურა

1. ეთიკის კომისია ვალდებულია წერილობითი საჩივრის/განცხადების/მიმართვის მიღებიდან, ან დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ფაქტის/გარემოების აღმოჩენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში განიხილოს დისციპლინური წარმოების დაწყების საკითხი.
2. ეთიკის კომისია ამოწმებს დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველს და იმ შემთხვევაში, თუ იგი აკმაყოფილებს წინამდებარე კოდექსით განსაზღვრულ წესსა და პირობებს იწყებს საქმის წარმოებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეთიკის კომისია იღებს გადაწყვეტილებას წარმოების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ, რაც წერილობითი ფორმით უნდა ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს.
3. ეთიკის კომისია ვალდებულია დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეებს, წარმოების დაწყებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. ამასთანავე, უზრუნველყოს იმ პირისთვის, რომლის მიმართაც დაიწყო დისციპლინური წარმოება, საქმის მასალების გადაცემა.
4. პირს, რომლის მიმართაც მიმდინარეობს დისციპლინური წარმოება, ეთიკის კომისიის მიერ განესაზღვრება საკუთარი პოზიციისა და მტკიცებულებების წარდგენის ვადა.
5. ეთიკის კომისია ვალდებულია უზრუნველყოს წარმოებაში ჩართული მხარეებისთვის საქმის მასალების ხელმისაწვდომობა და მათ მიერ საკუთარი პოზიციის წარმოდგენის შესაძლებლობა. ასევე, უფლებამოსილია თავად ან/და მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოიპოვოს მტკიცებულებები, გამოკითხოს მოწმეები, საქმის გარემოებების დაზუსტების მიზნით შეხვდეს მხარეებს ცალ-ცალკე და მოისმინოს მათი ახსნა-განმარტებები.
6. ეთიკის კომისია საკითხის ყოველმხრივ შესწავლისა და მხარეთა მიერ პოზიციებისა და მტკიცებულებების წარმოდგენის ანდა ამისთვის დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ, ნიშნავს ზეპირ მოსმენას.

7. ზეპირი მოსმენის ეტაპზე ეთიკის კომისია უფლებამოსილია დაუსვას შეკითხვები მხარეებს ან საქმის განხილვაში მონაწილე სხვა პირებს, მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტები, მასალები ან ინფორმაცია, გადადოს განხილვა და განახორციელოს საკითხის სრულყოფილად შესწავლისთვის საჭირო სხვა ღონისძიებები.
8. ზეპირი მოსმენა არის საჯარო. სხდომა შეიძლება დაიხუროს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით განსახილველი საკითხის შინაარსის, მხარეთა/საქმის განხილვაში მონაწილე სხვა პირების ინტერესების დაცვის მიზნით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხარეთა/საქმის განხილვაში მონაწილე სხვა პირების დასაბუთებული შუამდგომლობით საფუძველზე ან მის გარეშე.
9. დისციპლინური წარმოების პროცესში რომელიმე მხარის უარი ახსნა-განმარტების მიცემაზე, ზეპირ მოსმენაზე გამოუცხადებლობა ან განხილვის პროცესში მონაწილეობაზე უარის თქმა არ გამოიწვევს წარმოების შეწყვეტას.
10. ეთიკის კომისიას საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისთვის აქვს საქმის წარმოების დაწყებიდან 30 კალენდარული დღე, რომელიც საქმის სირთულიდან ან სხვა ობიექტური გარემოებიდან გამომდინარე, შესაძლებელია გაიზარდოს 60 კალენდარულ დღემდე, საკუთარი დასაბუთებული გადაწყვეტილებით.

მუხლი 13. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. საჩივრის/განცხადების ავტორი ანდა სტუდენტური ომბუდსმენი ვალდებულია:
 - ა) დაასაბუთოს საკუთარი საჩივარი/განცხადება/მიმართვა;
 - ბ) ეთიკის კომისიას წარუდგინოს მის ხელთ არსებული მტკიცებულებები;
 - გ) ითანამშრომლოს ეთიკის კომისიასთან დისციპლინურ წარმოების ფარგლებში.
2. საჩივრის/განცხადების ავტორს ანდა სტუდენტურ ომბუდსმენს უფლება აქვს:
 - ა) მიიღოს სრული ინფორმაცია წარმოების დაწყებისა და საკითხის განხილვის პროცესის მიმდინარეობის შესახებ;
 - ბ) წარადგინოს მტკიცებულებები, იშუამდგომლოს ინფორმაციის/მტკიცებულების მოპოვებით/ გამოთხოვის შესახებ, დაესწროს ზეპირ მოსმენას და მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით;
 - გ) დააყენოს აცილება ეთიკის კომისიის წევრის/წევრების მიმართ;
 - დ) გაეცნოს მეორე მხარის პოზიციასა და მტკიცებულებებს; ასევე, საქმეში არსებულ სხვა მასალებს;

- ე) მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებების გამოკვლევაში;
 - ვ) გაასაჩივროს დისციპლინურ წარმოებაზე ეთიკის კომისიას გადაწყვეტილება.
3. პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება დისციპლინური წარმოება, ვალდებულია:
- ა) ითანამშრომლოს ეთიკის კომისიასთან დისციპლინური წარმოების ფარგლებში;
 - ბ) მიაწოდოს ეთიკის კომისიას მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები.
4. პირს, რომლის მიმართაც ხორციელდება დისციპლინური წარმოება, უფლება აქვს:
- ა) მიიღოს წერილობითი შეტყობინება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყებისა და საქმის განხილვის პროცესის მიმდინარეობის შესახებ;
 - ბ) წარადგინოს საკუთარი პოზიცია, მტკიცებულებები, მის ხელთ არსებული ინფორმაცია, იშუამდგომლოს ინფორმაციის/მტკიცებულების მოპოვებით/გამოთხოვის შესახებ;
 - გ) დააყენოს აცილება ეთიკის კომისიის წევრის/წევრების მიმართ;
 - დ) დაესწროს ზეპირ მოსმენას, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, დაიცვას საკუთარი უფლებები დამოუკიდებლად ან/და წარმომადგენლის მეშვეობით;
 - ე) მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებების გამოკვლევაში;
 - ვ) გაასაჩივროს დისციპლინურ წარმოებაზე ეთიკის კომისიას გადაწყვეტილება.

მუხლი 14. დისციპლინურ წარმოებაზე ეთიკის კომისიის წევრის აცილების საფუძველი

1. დისციპლინურ წარმოებაზე ეთიკის კომისიას წევრი არ შეიძლება მონაწილეობდეს საქმის განხილვაში, თუ ის
 - ა) ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს, ან რომელიმე მხარესთან აკავშირებს ნათესაური/სხვა სახის ახლო კავშირი;
 - ბ) პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ აქვს კავშირი საქმესთან ან/და დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში.
2. აცილების საფუძველების არსებობისას ეთიკის კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება.

მუხლი 15. დისციპლინური წარმოების დაწყებაზე უარისა და წარმოების შეწყვეტის საფუძვლები

- ეთიკის კომისია დისციპლინური წარმოების დაწყებაზე უარის თქმის გადაწყვეტილებას იღებს, თუ:
 - საჩივარი/განცხადება წარდგენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ;
 - გასულია დისციპლინური წარმოების დაწყებისთვის წინამდებარე კოდექსით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა;
 - სცდება წინამდებარე კოდექსით დადგენილ ნორმებს;
 - არსებობს გადაწყვეტილება იმავე საკითხზე.
- დისციპლინური წარმოება წყდება, თუ:
 - დისციპლინური წარმოების შედეგად არ დადასტურდა დისციპლინური გადაცდომის ფაქტი;
 - პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა;
 - გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან ან შეუწყდა უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 16. დისციპლინურ წარმოებაზე ეთიკის კომისიას გადაწყვეტილება

- ეთიკის კომისია დისციპლინური წარმოების შედეგად გადაწყვეტილებას იღებს კომისიის რეგლამენტით დადგენილი წესით.
- ეთიკის კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება:
 - დისციპლინური წარმოების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ;
 - დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ;
 - დისციპლინური გადაცდომის ფაქტის დადგენისა და პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების შესახებ.
- ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური გადაცდომის ფაქტის დადგენისა და პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების შესახებ წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს, რომელსაც აქვს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების უფლება.

მუხლი 17. დისციპლინურ წარმოებაზე ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. ეთიკის კომისიას მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაინტერესებულ მხარეებს ეცნობებათ წერილობით.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოში, ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დაინტერესებულ პირისათვის ოფიციალურად გაცნობიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.
3. წარმომადგენლობითი საბჭო განიხილავს წარმოდგენილ საჩივარს. განხილვის ეტაპზე საბჭო უფლებამოსილია, მოისმინოს საჩივრის ავტორის, მეორე მხარის, საქმის განხილვაში მონაწილე სხვა პირებისა და ეთიკის კომისიის მოსაზრებები/ახსნა-განმარტებები.
4. წარმომადგენლობითი საბჭო უფლებამოსილია, საჩივრის განხილვის შედეგად, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ძალაში დატოვოს ან შეცვალოს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, წარმომადგენლობითი საბჭო უფლებამოსილია მიიღოს წინამდებარე კოდექსის მე-16 მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილებებიდან ერთ-ერთი.
5. წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება საბჭოს ოქმით, რომელიც ეგზავნება მხარეებს და წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს შემდგომი რეაგირებისთვის.

მუხლი 18. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

დისციპლინური გადაცდომის ფაქტის დადგენისა და პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების შესახებ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ამოწურვის შემდეგ, ან გასაჩივრების შემთხვევაში, წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას პირისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ.

თავი V. დასკვნითი დებულებები

მუხლი 19. კოდექსის დამტკიცება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ძალადაკარგულად გამოცხადება

1. წინამდებარე კოდექსს უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.
2. წინამდებარე კოდექსში ცვლილებები და დამატებები შეაქვს და მას ძალადაკარგულად აცხადებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.